საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/1241
24/02/2023

1241-21-2-202302241546

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №478 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ქ. ქუთაისში, წერეთლის ქ. №46-60-ის მიმდებარედ, მდ. რიონზე ნაპირდაცვითი (ნაპირსამაგრი) სამუშაოების განხორციელებას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი და დაზუსტებული უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკრინინგის ანგარიშში წარმოდგენილ ნაგებობის განივ კვეთებზე დატანილი უნდა იყოს შესაბამისი გეოლოგიური ჭრილები, სადაც მოცემული იქნება შემადგენელი ქანების განლაგება და სიმძლავრე;
- დოკუმენტში მოცემული უნდა იყოს ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელებისათვის საჭირო სამშენებლო მასალების ტრანსპორტირების საკითხი (დღიურად რამდენი სატრანსპორტო გადაზიდვა განხორციელდება საპროექტო ტერიტორიაზე, ზემოქმედება სატრანსპორტო ნაკადზე და სხვა).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო